კრიტერიუმის საფუძველზე, მნიშვნელოვნების 0.05 დონისა და თავისუფლების ხარისხი 15-ის საფუძველზე, ხოლო მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის საფუძველზე. გამოკვლეულ სიტუაციაში (2012წ), ზოგადი ცვალებადობის 0.16% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ 0.108 ერთეულით შემცირებას.

2013 წელი: მოდელი: $\hat{y}=1.6128x-4.2062$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.413$, რაც გვიჩვენებს ამსხნელ და ახსნილ ფაქტორებს შორის საშუალო და პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=4.6$, $S_b=0.919$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=0.91$, $t_b=1.75$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $0.91 < 2.131$ და $1.75 < 2.131$, a და b კოეფიციენტები არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.170$, ხოლო $F_{სტატ}=3.08$. ცხრილის თანახმად, $F_{კრიტ}=4.54$. $3.08 < 4.54$, ამიტომ აგებული რეგრესიის მოდელი არაა ვალიდური. კოეფიციენტი $\beta=0.413$, რაც გვიჩვენებს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 41.3%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2013წ), ზოგადი ცვალებადობის 17.03% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ, 1.613 ერთეულით ზრდას.

2014 წელი: მოდელი: $\hat{y}=-0.7991x+8.4177$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=-0.234$, რაც მიუთითებს ცვლადების სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=4.275$, $S_b=0.858$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.97$, $t_b=0.93$, $t_{კრიტ}=2.131$. რადგან, $1.97 < 2.131$ და $0.93 < 2.131$, ამიტომ ორივე კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.05464$, $F_{სტატ}=0.867$, $F_{კრიტ}=4.54$. $0.867 < 4.54$, ამიტომ, რეგრესიის მოდელი არ არის ვალიდური. კოეფიციენტი $\beta=-0.234$, რაც გულისხმობს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო

კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 23.4%-ის ტოლი სიდიდით შემცირებას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2014წ), ზოგადი ცვალებადობის 5.46% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ 0.799 ერთეულით შემცირებას.

2015 წელი: რეგრესიის მოდელი: $\hat{y}=2.3931x-8.3311$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.439$, რაც ასახავს ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=6.281$, $S_b=1.266$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.33$, $t_b=1.89$, $t_{კრიტ}=2.131$. $1.33 < 2.131$ და $1.89 < 2.131$, ამიტომ, კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1923$, $F_{სტატ}=3.571$, $F_{კრიტ}=4.54$. $3.571 < 4.54$, რის გამოც, რეგრესიის მოდელი არავალიდურია. კოეფიციენტი $\beta=0.439$, რაც გულისხმობს, ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 43.9%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2015წ), ზოგადი ცვალებადობის 19.23% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ, 2.393 ერთეულით ზრდას.

2016 წელი: მოდელი: $\hat{y}=-2.0954x+16.251$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=-0.165$, რაც მიგვანიშნებს ცვლადების სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=15.968$, $S_b=3.225$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.02$, $t_b=0.65$, $t_{კრიტ}=2.131$. $1.02 < 2.131$, $0.65 < 2.131$, რაც გულისხმობს, რომ კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1923$, $F_{სტატ}=0.42$, $F_{კრიტ}=4.54$. $0.42 < 4.54$, რის გამოც, რეგრესიის მოდელი არავალიდურია. კოეფიციენტი $\beta=-0.165$, რაც გულისხმობს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მაჩვენებლის 16.5%-ის ტოლი სიდიდით შემცირებას. გამოკვლევულ სიტუაციაში (2016წ), ზოგადი ცვალებადობის 2.74% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით ვასკვნი, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის 2.095 ერთეულით შემცირებას.

გამოკვლევულ სიტუაციაში (2012წწ.-2016წწ.), ზოგადი ცვალებადობის 2.74% შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილება ახსნილია შავი ფულის გათეთრების ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით ვასკვნი, რომ შავი ფულის გათეთრების 1 ერთეულით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ, 0.2008 ერთეულით ზრდას. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, უარყოფით ნულოვანი ჰიპოთეზა და ვალიდრობა აღტერნატიული ჰიპოთეზა, რომლის თანახმად შავი ფულის გათეთრების ზრდა დადებითად მოქმედებს პუიზე.

ფულის გათეთრება, კორუფცია და მშპ

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება მშპ-ზე.

ცხრილი 10. შავი ფულის, კორუფციის და მშპ-ს ზრდის ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{336 337 338}.

		<i>ფულის გათეთრება (x₁)</i>				<i>კორუფცია (x₂)</i>				<i>მშპ (y)</i>			
		2013	2014	2015	2016	2013	2014	2015	2016	2013	2014	2015	2016
1	<i>ალბანეთი</i>	-1.074	2.203	0.279	-9.416	-6.061	6.452	9.091	8.333	1.001	1.774	2.227	3.370
2	<i>ბელორუსია</i>	-0.134	0.134	-0.134	0.134	-6.452	6.897	3.226	25.000	1.024	1.723	-3.830	-2.649
3	<i>ბულგარეთი</i>	-2.664	-7.255	-0.960	1.027	0.000	4.878	-4.651	0.000	0.862	1.329	3.617	3.941
4	<i>ესტონეთი</i>	1.002	-1.180	-2.438	19.831	6.250	1.471	1.449	0.000	1.937	2.891	1.674	2.063
5	<i>ლატვია</i>	-8.117	2.178	-1.054	-1.475	8.163	3.774	0.000	3.636	2.430	1.858	2.972	2.213
6	<i>ლიტვა</i>	-3.809	-4.338	0.812	-1.472	5.556	1.754	5.172	-3.279	3.499	3.538	2.035	2.345
7	<i>მოლდოვა</i>	-14.672	0.754	1.088	1.656	-2.778	0.000	-5.714	-9.091	9.400	4.800	-0.400	4.100
8	<i>პოლონეთი</i>	-0.128	-16.704	1.133	10.333	3.448	1.667	1.639	0.000	1.392	3.283	3.845	2.864
9	<i>რუმინეთი</i>	0.023	-1.459	-0.741	-2.669	-2.273	0.000	6.977	4.348	3.532	3.076	3.974	4.589
10	<i>რუსეთი</i>	1.708	9.329	-0.480	-0.585	0.000	-3.571	7.407	0.000	1.785	0.739	-2.828	-0.225
11	<i>საქართველო</i>	-14.798	0.601	-0.664	-1.936	-5.769	6.122	0.000	9.615	3.387	4.623	2.880	2.849
12	<i>სომხეთი</i>	-4.472	-0.755	0.632	-5.412	5.882	2.778	-5.405	-5.714	3.300	3.600	3.200	0.200
13	<i>უზბეკეთი</i>	-0.494	0.015	-5.328	-0.292	0.000	5.882	5.556	10.526	8.000	7.793	8.000	7.800
14	<i>უკრაინა</i>	-2.156	1.211	0.137	0.212	-3.846	4.000	3.846	7.407	-0.027	-6.553	-9.773	2.308
15	<i>უნგრეთი</i>	-5.222	-1.589	1.481	2.209	-1.818	0.000	-5.556	-5.882	2.096	4.228	3.367	2.213
16	<i>ყირგიზეთი</i>	0.779	-0.980	-0.380	-0.993	0.000	12.500	3.704	0.000	10.915	4.024	3.876	3.826
17	<i>ჩეხეთი</i>	-1.441	-3.893	-0.128	2.381	-2.041	6.250	9.804	-1.786	-0.484	2.715	5.309	2.593

³³⁶<https://index.baselgovernance.org>

³³⁷<https://data.worldbank.org/indicator>

³³⁸<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

ეკონომიკური მოდელის ასაგებად ფულის გათეთრება და კორუფცია გამოვიყენეთ ამხსნელ ცვლადად, შესაბამისად, x_1 და x_2 . ხოლო მშპ ასახსნელ ცვლადად- y .

2013: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=2.6488-0.1638x_1+0.0567x_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.243$, $r_{yx2}=0.051$, $r_{x1x2}=0.112$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინეთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი). $F_1=0.56$, $F_2=0.64$, $F_3=0.16$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. რადგან $0.56<19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. ვინაიდან, $0.64<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ და $0.16<19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=0.984$, $S_{b1}=0.169$. $S_{b2}=0.186$, ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.169$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 16.9%-ით. $E_2=-0.0018$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 0.18%-ით. $\beta_1=-0.252<\beta_2=0.0792$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.2554$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.06523$. უფრო ზუსტი შემფასებელი კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=-0.0683$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმეთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.49$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე) $0.49<3.74$, რაც ნიშნავს, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.164 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0567 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.0792$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. y -ის ზოგადი ცვალებადობის 6.52% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=2.4065-0.08644X_1+0.04359X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.164$, $r_{yx2}=0.0735$, $r_{x1x2}=-0.111$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინეთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი). $F_1=0.25$, $F_2=0.3$, $F_3=0.13$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, რადგან $0.25<19.4$, ამიტომ y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, რადგან $0.3<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $0.13<19.4$, ამიტომ x_2

არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=1.046$, $S_{b1}=0.145$, $S_{b2}=0.206$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.0413$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 4.13%-ით. $E_2=0.0583$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 5.83%-ით. $\beta_1=-0.157 < \beta_2=0.056$. ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.1729$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.0299$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი: $\bar{R}^2=-0.109$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.22$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.22 < 3.74$, ამიტომ, დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.0864 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0436 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.056$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 2.99% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტრობის არსებობა გამოირიცხა.

2015: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=1.612-0.9282X_1-0.09631X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.332$, $r_{yx2}=-0.0244$, $r_{x1x2}=-0.265$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დაგადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერისკრიტერიუმით), $F_1=1.13$, $F_2=1.81$, $F_3=0.74$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. ვინაიდან, $1.13 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $1.81 < 19.4$, რაც ნიშნავს, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. დადგან, $0.74 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=1.089$, $S_{b1}=0.662$, $S_{b2}=0.207$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.208$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 20.8%-ით. $E_2=-0.117$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 11.7%-ით. $\beta_1=-0.364 < \beta_2=-0.121$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.3516$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.1236$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=-0.00159$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.99$,

$F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.99 < 3.74$, ამიტომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.928 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0963 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2 = -0.121$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 12.36% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესია: $\hat{y} = 2.7844 - 0.02311X_1 - 0.06083X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1} = -0.0269$, $r_{yx2} = -0.209$, $r_{x1x2} = -0.176$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არარსებობა: (ფიშერის კრიტერიუმით). $F_1 = 0.4$, $F_2 = 0.29$, $F_3 = 0.66$, $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$, რადგან $0.4 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. რადგან, $0.29 < 19.4$, ამიტომ x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. რადგან $0.66 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიები: $S_{b0} = 0.602$, $S_{b1} = 0.0934$, $S_{b2} = 0.0732$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = -0.0070$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 0.7%-ით. $E_2 = -0.0590$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 5.9%-ით. $\beta_1 = -0.0656 > \beta_2 = -0.22$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი $R = 0.2184$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2 = 0.04771$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2 = -0.0883$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F = 0.35$, $F_{კრიტ(2;14)} = 3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.35 < 3.74$. ამიტომ, დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.0231 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0608 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1 = -0.0656$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 4.77%

გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: შავი ფულის გათეთრების ფაქტორის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს მშპ-ს შემცირებას საშუალოდ 0.300375 ერთეულით. ზემოთ მოცემულ მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა. აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ მივიღეთ ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, შავი ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება მშპ-ზე და უარყოფით ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, შავი ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება მშპ-ზე.

✚ ფულის გათეთრება, კორუფცია და ინვესტიციები

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე.

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება ინვესტიციებზე.

ცხრილი 11. შავი ფულის, კორუფციის და ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.³³⁹ ³⁴⁰ ³⁴¹

		ფულის გათეთრება (x_1)					კორუფცია (x_2)					ინვესტიციები (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.5	5.4	5.5	5.6	5.0	33.0	31.0	33.0	36.0	39.0	28.4	27.6	25.9	26.4	27.0
2	ბელორუსია	5.4	5.4	5.4	5.4	5.4	31.0	29.0	31.0	32.0	40.0	38.1	41.3	38.5	32.8	29.2
3	ბულგარეთი	4.2	4.1	3.8	3.8	3.8	41.0	41.0	43.0	41.0	41.0	22.0	21.1	21.7	21.4	19.6
4	ესტონეთი	3.3	3.3	3.3	3.2	3.8	64.0	68.0	69.0	70.0	70.0	29.3	27.8	28.3	25.8	25.7
5	ლატვია	5.4	4.9	5.0	5.0	4.9	49.0	53.0	55.0	55.0	57.0	25.9	24.0	21.4	21.4	21.0
6	ლიტვა	4.0	3.8	3.6	3.7	3.6	54.0	57.0	58.0	61.0	59.0	17.0	16.5	16.6	20.3	19.0
7	მოლდოვა	5.9	5.1	5.1	5.2	5.2	36.0	35.0	35.0	33.0	30.0	24.4	25.0	25.5	22.4	23.1
8	პოლონეთი	4.7	4.7	3.9	4.0	4.4	58.0	60.0	61.0	62.0	62.0	21.6	20.1	22.0	22.2	21.2
9	რუმინეთი	4.7	4.7	4.6	4.6	4.5	44.0	43.0	43.0	46.0	48.0	25.6	24.9	24.5	25.2	24.2
10	რუსეთი	5.7	5.8	6.3	6.3	6.2	28.0	28.0	27.0	29.0	29.0	28.0	26.0	24.2	21.6	22.0
11	საქართველო	5.6	4.8	4.8	4.8	4.7	52.0	49.0	52.0	52.0	57.0	25.7	22.0	26.6	28.3	29.8
12	სომხეთი	5.1	4.9	4.9	4.9	4.6	34.0	36.0	37.0	35.0	33.0	27.9	24.6	23.0	22.0	20.1
13	უზბეკეთი	5.4	5.4	5.4	5.1	5.1	17.0	17.0	18.0	19.0	21.0	25.3	25.7	26.4	26.8	27.2
14	უკრაინა	6.6	6.5	6.6	6.6	6.6	26.0	25.0	26.0	27.0	29.0	21.3	18.7	13.1	16.2	22.3
15	უნგრეთი	4.3	4.1	4.0	4.1	4.1	55.0	54.0	54.0	51.0	48.0	18.6	19.3	20.8	19.3	18.2
16	ყირგიზეთი	6.3	6.4	6.3	6.3	6.2	24.0	24.0	27.0	28.0	28.0	39.2	37.1	41.3	38.8	37.6
17	ჩეხეთი	4.8	4.7	4.6	4.6	4.7	49.0	48.0	51.0	56.0	55.0	26.3	25.0	26.5	28.4	27.0

³³⁹<https://index.baselgovernance.org>

³⁴⁰<https://data.worldbank.org/indicator>

³⁴¹<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

2012: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=29.0931+0.6281X_1-0.1505X_2$. დაკვირვებათა რიცხვი $n=17$. მოდელში დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობაა 2, ერთეულოვანი ვექტორის გათვალისწინებით კი რეგრესორთა რაოდენობა უდრის უცნობი კოეფიციენტების რაოდენობას. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=0.353$, $r_{yx2}=-0.419$, $r_{x1x2}=-0.742$. ვინაიდან, ფარარ-გლობერის ალგორითმი ყველაზე სრულად იკვლევს მულტიკოლინიარობას, ამიტომ გამოვიყენეთ იგი, რათა დაგვედგინა, არის თუ არა სხვა დანარჩენ ცვლადებსა და თითოეულ კონკრეტულ ცვლადს შორის მულტიკოლინიარობა. (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის განაწილების ცხრილში, (16;2) თავისუფლების ხარისხების გათვალისწინებით მოვძებნეთ $F_{კრიტ(16;2)}=19.4$ და შევადარეთ გამოთვლილ შესაბამის F სტატისტიკებს: $F_1=1.75$, რადგან, $F_1 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ y -სა და სხვა ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობა არ არის. $F_2=9.89$, რადგან $F_2 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადებთან მიმართებაში. $F_3=11$, ვინაიდან, $F_3 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადებთან მიმართებაში. გავიანგარიშეთ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა, რომელიც განსაზღვრავს გადახრებს ფაქტობრივი მნიშვნელობებიდან. აპროქსიმაციის 15%-მდე მნიშვნელობა განსაზღვრავს კარგად შერჩეულ მოდელს. ჩვენს შემთხვევაში: $A=15.07\%$. მოდელის პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=17.762$, $S_{b1}=2.441$, $S_{b2}=0.155$. გამოვთვალოთ ელასტიკურობის კერძო კოეფიციენტები, რათა დაგვედგინა, თუ რა გავლენა აქვს ახსნილ ცვლადზე (y) თითოეულ რეგრესორს ($x_1; x_2$), რაც გულისხმობს, თუ რამდენი პროცენტით იცვლება ახსნილი ცვლადი ამხსნელი ცვლადის 1%-ით ცვლილებისას. $E_1=0.123$, x_1 ცვლადის 1%-იანი ცვლილება y -ს ზრდის 12.3%-ით. $E_2=-0.235$, x_2 ცვლადის 1%-იანი ცვლილება კი y -ს ამცირებს 23.5%-ით. დავადგინეთ კოეფიციენტები, რათა განგვესაზღვრა, თუ რომელი რეგრესორის ზემოქმედებაა უფრო ძლიერი ახსნილ ცვლადზე: $\beta_1=0.093 > \beta_2=-0.35$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. განვსაზღვრეთ მრავლობითი კორელაციის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს, თუ რა გავლენა აქვთ ამხსნელ ცვლადებს ერთად ახსნილზე. $R=0.4236$. აქედანვე, გამოვთვალოთ დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.179$, თუმცა, ვინაიდან უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი, აუცილებელია მისი განსაზღვრა და გამოყენება: $\bar{R}^2=0.0622$. რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი ერთთან, მით უფრო მეტად ხსნის რეგრესიის განტოლება y -ის ცვლილებას.

მიღებული მრავლობითი რეგრესიის განტოლების ვალიდურობის დასადგენად გამოვიყენეთ დეტერმინაციის კოეფიციენტი დაფიშერის ტესტი. $R^2=0.1795$, $F=1.53$. თავისუფლების ხარისხების (2;14) მიხედვით, ფიშერის ცხრილიდან დავადგინეთ კრიტერიუმის კრიტიკული მნიშვნელობა $F_{კრიტ}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 ცვლადის 1 ერთეულით გაზრდა y ცვლადს საშუალოდ 0.628 ერთეულით ზრდის; x_2 ცვლადის 1 ერთეულით გაზრდა y -ს საშუალოდ 0.15 ერთეულით ამცირებს. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.093$ მიხედვით ვასკენით, რომ ახსნილ ცვლადზე მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. განტოლების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით. დავადგინეთ, რომ გამოკვლეულ შემთხვევაში, საერთო ცვალებადობის 17.95% შემთხვევაში, y -ს ცვლის x_1 და x_2 რეგრესორები. ასევე დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად მნიშვნელოვანნი არიან. ასევე, უარყოფილია მოდელში ჰეტეროსკედასტურობა.

2013: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=27.2966+0.7703X_1-0.1466X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=0.387$, $r_{yx2}=-0.427$, $r_{x1x2}=-0.831$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არარსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი) $F_1=1.82$, $F_2=17.94$, $F_3=18.97$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. ვინაიდან $1.82 < 19.4$, ამიტომ y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. ამასთანავე, $17.94 < 19.4$, ამიტომ x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ და $18.97 < 19.4$, რაც ნიშნავს, რომ x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო შეცდომაა: $A=15.42\%$, პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=22.758$, $S_{b1}=3.229$, $S_{b2}=0.186$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.152$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა y -ის 15.2%-ით. $E_2=0.24$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა y -ის 24%-ით. $\beta_1=0.103 > \beta_2=-0.341$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. ამასთანავე, მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.4305$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.1854$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=0.069$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=1.59$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის

საფუძველზე). პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.77 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.147 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.103$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 18.54% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესია: $\hat{y}=25.6638+0.6062X_1-0.08401X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.238$, $r_{yx2}=-0.253$, $r_{x1x2}=-0.841$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. $F_1=0.57<19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $F_2=19.35<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $F_3=19.59>19.4$, x_2 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქციმაციის საშუალო შეცდომაა $A=19.34\%$. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0}=24.891$, $S_{b1}=3.352$, $S_{b2}=0.222$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.118$ x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 11.8%-იან ზრდას. $E_2=-0.142$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 14.2%-იან შემცირებას. $\beta_1=0.0863>\beta_2=-0.18$, რაც გულისხმობს, რომ პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია: $R=0.257$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.0661$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0674$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.5$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.606 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.084 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.0863$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 6.61% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2015: რეგრესია: $\hat{y}=19.3358+1.1508X_1-0.00663X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.217$, $r_{yx2}=-0.179$, $r_{x1x2}=-0.793$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. $F_1=0.4 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=13.94 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=13.6 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო შეცდომაა $A=16.9\%$. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=17.754$, $S_{b1}=2.424$, $S_{b2}=0.158$. ელასტიკურობის კოეფიციენტები: $E_1=0.227$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 22.7%-იან ზრდას. $E_2=-0.0115$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 1.15%-იან შემცირებას, $\beta_1=0.203 > \beta_2=-0.0176$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.2177$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.0474$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0887$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.35$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 1.151 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.00663 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.203$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 4.74% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=5.2821+3.3128X_1+0.06592X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.441$, $r_{yx2}=-0.208$, $r_{x1x2}=-0.695$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=2.18 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=10.85 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=7.86 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო

შეცდომაა $A=14.88\%$. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=13.27$, $S_{b1}=1.899$, $S_{b2}=0.113$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.664$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 66.4%-იან ზრდას, $E_2=-0.119$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 11.9%-იან შემცირებას. $\beta_1=0.575 > \beta_2=0.192$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.4625$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.214$, თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.102$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევამოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.9; F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 3.313 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0659 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.575$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 21.39% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. ამასთანავე, მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა, ხოლო მისი პარამეტრები მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ შავი ფულის გათეთრების ცვლადის 1 ერთეულით ზრდა იწვევს ინვესტიციების მოცულობის 1.2936 ერთეულით ზრდას. ინვესტიციებზე მეტი გავლენა აქვს შავი ფულის გათეთრებას, განტოლების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით. დავადგინეთ, რომ გამოკვლეულ შემთხვევაში, საერთო ცვალებადობის საშუალოდ 13.85% შემთხვევაში, ინვესტიციების მაჩვენებელს ცვლის შავი ფულის გათეთრების და კორუფციის რეგრესორები. ასევე დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად მნიშვნელოვანნი არიან. ასევე, უარყოფილია მოდელში ჰეტეროსკედასტურობა. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია, უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და მივიღოთ ალტერნატიული ჰიპოთეზა 1, რომლის თანახმად, ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება ინვესტიციებზე.

✚ ფულის გათეთრება, კორუფცია და პუი

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება პუი-ზე

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება პუი-ზე;

ცხრილი 12. შავი ფულის გათეთრების, კორუფციის და პუი-ს ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{342 343 344}

		ფულის გათეთრება (x_1)					კორუფცია (x_2)					პუი (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.5	5.4	5.5	5.6	5.0	33.0	31.0	33.0	36.0	39.0	7.4	10.0	9.0	7.6	7.7
2	ბელორუსია	5.4	5.4	5.4	5.4	5.4	31.0	29.0	31.0	32.0	40.0	2.4	3.6	2.9	2.7	2.1
3	ბულგარეთი	4.2	4.1	3.8	3.8	3.8	41.0	41.0	43.0	41.0	41.0	3.5	3.8	3.9	5.0	2.1
4	ესტონეთი	3.3	3.3	3.3	3.2	3.8	64.0	68.0	69.0	70.0	70.0	8.2	4.9	7.6	-3.1	3.1
5	ლატვია	5.4	4.9	5.0	5.0	4.9	49.0	53.0	55.0	55.0	57.0	4.1	3.7	3.4	3.0	0.8
6	ლიტვა	4.0	3.8	3.6	3.7	3.6	54.0	57.0	58.0	61.0	59.0	1.4	1.7	1.2	2.2	2.1
7	მოლდოვა	5.9	5.1	5.1	5.2	5.2	36.0	35.0	35.0	33.0	30.0	4.1	3.6	4.8	3.1	1.2
8	პოლონეთი	4.7	4.7	3.9	4.0	4.4	58.0	60.0	61.0	62.0	62.0	1.4	0.2	3.7	2.7	2.9
9	რუმინეთი	4.7	4.7	4.6	4.6	4.5	44.0	43.0	43.0	46.0	48.0	1.8	2.2	2.1	2.3	2.7
10	რუსეთი	5.7	5.8	6.3	6.3	6.2	28.0	28.0	27.0	29.0	29.0	3.0	4.1	1.3	0.4	2.0
11	საქართველო	5.6	4.8	4.8	4.8	4.7	52.0	49.0	52.0	52.0	57.0	6.3	7.0	12.3	10.7	10.5
12	სომხეთი	5.1	4.9	4.9	4.9	4.6	34.0	36.0	37.0	35.0	33.0	4.8	3.2	3.6	1.6	2.9
13	უზბეკეთი	5.4	5.4	5.4	5.1	5.1	17.0	17.0	18.0	19.0	21.0	1.2	1.3	1.2	0.1	0.1
14	უკრაინა	6.6	6.5	6.6	6.6	6.6	26.0	25.0	26.0	27.0	29.0	5.7	3.1	0.6	2.5	2.8
15	უნგრეთი	4.3	4.1	4.0	4.1	4.1	55.0	54.0	54.0	51.0	48.0	8.1	-2.8	9.3	-3.7	46.7
16	ყირგიზეთი	6.3	6.4	6.3	6.3	6.2	24.0	24.0	27.0	28.0	28.0	5.1	10.9	5.9	18.8	9.8
17	ჩეხეთი	4.8	4.7	4.6	4.6	4.7	49.0	48.0	51.0	56.0	55.0	4.5	3.5	3.8	0.8	2.8

³⁴²<https://data.worldbank.org/indicator>

³⁴³<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

³⁴⁴<https://index.baselgovernance.org>

2012: რეგრესიის განტოლება: $\hat{y} = -2.9734 + 0.7994X_1 + 0.07771X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1} = -0.0405$, $r_{yx2} = 0.236$, $r_{x1x2} = -0.742$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$. $F_1 = 0.85 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2 = 10.6 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3 = 11.67 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0} = 7.356$, $S_{b1} = 1.011$, $S_{b2} = 0.0643$, ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = 0.952$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 95.2%-იან ზრდას, $E_2 = 0.74$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 74%-იან ზრდას. $\beta_1 = 0.3 < \beta_2 = 0.459$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R = 0.31$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2 = 0.0961$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2 = -0.033$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F = 074$, $F_{(2;14)} = 3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.799 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0777 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2 = 0.459$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 9.61% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2013: რეგრესია: $\hat{y} = -5.5464 + 1.7848X_1 + 0.01194X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1} = 0.413$, $r_{yx2} = -0.326$, $r_{x1x2} = -0.831$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$. $F_1 = 1.65 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2 = 19.84 > 19.4$, x_1 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3 = 17.86 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0} = 12.042$, $S_{b1} = 1.709$, $S_{b2} = 0.0987$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = 2.345$, x_1 -ის

1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 234.5%-იან ზრდას, $E_2=0.13$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 13%-იან ზრდას. $\beta_1=0.457 > \beta_2=0.053$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.4138$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.1712$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0528$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.45$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 1.785 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0119 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.457$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 17.12% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესია: $\hat{y}=-4.544+0.776x_1+0.1241x_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=-0.234$, $r_{yx2}=0.357$, $r_{x1x2}=-0.841$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. $F_1=1.33 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=19.77 > 19.4$, x_1 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, ასევე, $F_3=22.09 > 19.4$, x_2 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=11.601$, $S_{b1}=1.562$, $S_{b2}=0.103$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.842$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 84.2%-იან ზრდას, $E_2=1.166$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 116.6%-იან ზრდას. $\beta_1=0.227 < \beta_2=0.548$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.3777$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.1427$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0202$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.17$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.776 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.124

ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.548$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 14.27% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. ამასთანავე, მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2015: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=-14.8317+3.1661x_1+0.0634x_2$, კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.439$, $r_{yx2}=-0.282$, $r_{x1x2}=-0.793$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=2.05 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=16.98 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=13.91 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=15.655$, $S_{b1}=2.138$, $S_{b2}=0.139$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=4.635$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 463.5%-იან ზრდას. $E_2=0.822$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 82.2%-იან ზრდას, $\beta_1=0.58 > \beta_2=0.179$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.4518$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.2041$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0904$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.8$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 3.166 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0634 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.58$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 20.41% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესია: $\hat{y}=20.3277-2.5668x_1-0.04053x_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=-0.165$, $r_{yx2}=0.0873$, $r_{x1x2}=-0.695$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი. ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი

კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=0.24<19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=7.82<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=7.5<19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0}=32.422$, $S_{b1}=4.64$, $S_{b2}=0.277$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=-2.079$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 207.9%-იან შემცირებას, $E_2=-0.295$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 29.5%-იან შემცირებას, $\beta_1=-0.203<\beta_2=-0.0535$. ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.1699$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.02885$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.11$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.21$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 2.567 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0405 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.0535$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 2.89% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

აღნიშნული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: შავი ფულის გათეთრების ფაქტორის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს პუის საშუალოდ 0.7898 ერთეულით ზრდას, ხოლო კორუფციის ზრდა-0.02194-ით. კვლევის საფუძველზე ასევე ვასკენით, რომ კორუფციას აქვს გაცილებით მეტი გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ვიდრე შავი ფულის გათეთრებას. ასევე, დადგინდა, რომ პუი-ს ზოგადი ცვალებადობის 12.86% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია, უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და მივიღოთ ალტერნატიული ჰიპოთეზა 1, რომლის თანახმად, ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება პუი-ზე.

დასკვნა

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფულის გათეთრების გლობალურ პრობლემაზე და საქართველოს გამოწვევებზე. კვლევის ფარგლებში, გაგაანალიზეთ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე არსებული ლიტერატურა, რის შედეგადაც ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა ემპირიული კვლევით მსოფლიო ბანკის და ბაზელის მიერ გამოქვეყნებული შავი ფულის გათეთრების ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

გასულ წლებში ბევრი დაიწერა შავი ფულის გათეთრების შესახებ, ვინაიდან ფულის გათეთრება XXI საუკუნისათვის ახალი მოვლენა არ არის და ბიზნესის ოპერატორების ნაწილი ყოველთვის ცდილობდა შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროს დამალვას. თუმცა, აღნიშნული პრობლემის ინტერპრეტაციას მეცნიერებები განსხვავებულად ახდენენ. ზოგიერთი შავი ფულის გათეთრების განსაზღვრებისას ორიენტირდება გათეთრების შედეგზე, ზოგიერთიც-პროცესზე.

პრობლემის არსის უკეთ აღსაქმელად რეკომენდირებულია, ყურადღება დაეთმოს როგორც უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესს, ასევე მის შედეგს. დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი და ორგანიზაცია თუ გაერთიანება, რომელიც აქტიურად გამოიყენება უკანონოდ მიღებული სახსრებისათვის ლეგალური სახის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. დროთა განმავლობაში, აღნიშნული დოკუმენტებისა თუ ორგანიზაციების რიცხვი მატულობს, რაც ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას XXI საუკუნეში.

სსენებულმა გარემოებამ განაპირობა ფულის გათეთრების საკითხის, მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების და გათეთრების მეთოდების, ფაზების კვლევის აუცილებლობა. შავი ფულის გათეთრების დეტერმინანტების დადგენის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არაოფიციალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი, ჩრდილოვანი ეკონომიკის, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება, ფინანსური საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების შეუსრულებლობა, გამჭვირვალობის არასაკმარისი მოთხოვნები ფინანსურ ოპერაციებსა და ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით, ანონიმური ანგარიშების, ქვეყნის შიგნით თავისუფალი სავაჭრო ზონების არსებობა ხელს

უწყობს ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას. ამასთანავე, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე, დროთა მანძილზე ვითარდება, რაც განაპირობებს მათი შესწავლის მუდმივ საჭიროებას.

მართალია, დღესდღეობით, არსებობს შავი ფულის გათეთრების ძირითადი ერთი უნიფიცირებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს განთავსებას, დანაწევრებასა და გაერთიანებას, თუმცა, რეალობაში მრავალი ხერხი და მეთოდი გამოიყენება კრიმინალისტების მიერ უკანონო შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მისაცემად.

აშკარაა, რომ უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის მეთოდები დღევანდელობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებთან დაკავშირებული პროცესზე ზემოქმედების მიზნით ჩატარებული კვლევა იძლევა საქართველოში აქტუალური სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას. როგორც კვლევამ გვაჩვენა, 2016 წელს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შესულია 993 საექვო გარიგება, რომელთაგან

- კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილია 549;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ 65;
- სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემების მიერ 75;
- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ 5;
- საბროკერო კომპანიების მიერ 1;
- ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწოდებლების მიერ 27;
- სალიზინგო კომპანიების მიერ 46;
- შემოსავლების სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 296 საექვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა.

თითოეული საჭიროებს დეტალურ ანალიზს პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული რისკები, დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

ფულის გათეთრების სამყაროში კრიმინალებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ბრძოლა ინტელექტუალურ შერკინებას ჰგავს, სადაც ფულის გათეთრებლები მუდმივად ეძებენ გათეთრების ახალ გზებს. იმ

დროს, როდესაც ფინანსური ინსტიტუტები ისევე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ახორციელებენ დიდი მოცულობის ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, რათა მოხერხდეს კლიენტების შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება. დამნაშავეები მაქსიმალურად ცდილობენ ალტერნატიული გზების მოძიებას, რის საპასუხოდაც სახელმწიფო თუ საერთაშორისო სამართალდამცავი და ადგილობრივი ორგანოები იმუშავენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაინახონ კავშირები მოთამაშეებს შორის და გამოავლინონ საეჭვო ტიპის შემთხვევები, დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობასთან. თუ ფინანსური სისტემები კვლავაც განაგრძობენ ახალი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, კრიმინალები კვლავ შეეცდებიან ახალი ალტერნატიული გზის მოძიებას ფულადი სახსრებისათვის ჭეშმარიტი წყაროს დასაფარად.

ჩვენ ჩავატარეთ ემპირიული კვლევა პოსტ-სოციალისტური 17 ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემის საფუძველზე. კვლევის საწყის ეტაპზე მიმოვიხილეთ ფულის გათეთრების პრობლემით დაინტერესებული სხვადასხვა მეცნიერის თეორიები შავი ფულის, კორუფციისა და ეკონომიკური ზრდის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ინვესტიციების შესახებ, რათა გამოვლენილიყო შავი ფულის გათეთრების ზემოქმედება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კვლევის მიხედვით დავასკვნით, რომ ფულის გათეთრებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არის უარყოფითი დამოკიდებულება. ასევე, აღსანიშნავია, რომ შავი ფულის გათეთრება კორუფციასთან ერთად დადებითად აისახება ინვესტიციებისა და პუი-ს მოცულობის ზრდაზე. აღნიშნული კავშირის არსებობა გამოწვეულია იმით, რომ პოსტ-სოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არადემოკრატიული ქვეყნებია, სადაც არსებობს ბიუროკრატიული სამართალი, სახელმწიფო მოხელეები თავად არიან ჩართულნი კორუფციულ აქტივობებში, უკანონო გზებით მიღებული შემოსავლები გააქვთ ოფშორებში და შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ახორციელებენ ინვესტიციას ქვეყანაში.

აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს მაგალითიც, სადაც პუი-ს გარკვეული ნაწილი ოფშორებიდან მოედინება, რაც საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს მომავლისათვის, ვინაიდან შავი ფულის გათეთრებას აქვს სხვადასხვა ნეგატიური ეფექტი ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო სექტორისათვის ლეგიტიმური

ძირის გამოთხრით, ფინანსური ბაზრებისთვის ზიანის მიყენებით, ეკონომიკური სტაბილურობის რღვევით, თუ სხვ.

კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ დღეისათვის საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შავი ფულის გათეთრება, ხოლო კორუფციის მაღალი დონე ერთ-ერთი ყურადსაღები პრობლემაა საქართველოს რეალობისათვის. ორივე ფაქტორი განსაკუთრებით საშიში ხდება, როცა უკანონო შემოსავლები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების, მათ შორის ტერორიზმის, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობის, ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულებების დაფინანსებას ხმარდება.

ამასთან, პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში სრულიად შესაძლებელია, რომ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი დასჯის შიშით შეიცვალოს და ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით მკაცრი ზომები გატარდეს. ლიტერატურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კორუფციის მაღალი ზრდის ტემპი იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა თუ განვითარების ღონის შემცირებას, ისევე, როგორც ვნებს სახელმწიფოს მიერ სოციალური ტიპის დანახარჯების ეფექტიანობას და ადამიანური კაპიტალის ფორმირებას.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მაჩვენებელს ისევე, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მთავრობა არ უნდა ებრძოდეს კორუფციას ან ფულის გათეთრების პრობლემას. მიჩნეულია, რომ ფულის გათეთრების შემდეგ, უმეტესი ნაწილი კვლავ მიემართება კრიმინალური აქტივობების დასაფინანსებლად. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასთან და მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის დაწესებულებებთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებისას მომხმარებელთა ვინაობის დადგენას, ცალკეული გარიგებების ან ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების სერიის დამწყები მომხმარებლების იდენტიფიცირებას, მომხმარებელთან საქმიანი შეთანხმების დასრულების შემდეგაც კი განსაზღვრული პერიოდით შესაბამისი ცნობების შენახვას, შიდა კონტროლისა და კავშირის ადეკვატური პროცედურების

დაწყებას, შესაბამისი დაწყებულებების მიერ თავისი თანამშრომლებისათვის ტრენინგის პროგრამების შემუშავებას და სხვ.

